

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2016 -2022 წწ.

მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფა				
N	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი	სავარაუდო პერიოდი	ღონისძიების აღმწერი
1	ზრუნვა სასწავლო კოროლუსების კაპიტალურ შეკეთებაზე	დირექტორი ადმინისტრაცია	2016-2020	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით და სასწავლო ფართის კაპიტალური შეკეთებით სკოლა-პანსიონს მიეცემა შესაძლებლობა საუკეთესო გარემოში ჩატარდეს სასწავლო პროცესი როგორც ზოგად, ისე პროფესიული სწავლების კორპუსებში. რაც უფრო ხარისხიანს და ეფექტურს გახდის სტუდენტთა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.
2	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-განახლება	დირექტორი ადმინისტრაცია სამეურნეო მენეჯერი	2016- 2022	ახალი ინვენტარი/ტექნიკა, გამართული ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და სტანდარტების შესატყვისი საშუალებები და ინსტრუმენტები; პროფესიული საგანათმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ხელსაწყო-დანადგარები.
3	სკოლის ვებ-გვერდის მუდმივი განახლება	დირექტორი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი	2016- 2022	სკოლა-პანსიონის ვებ-გვერდის განახლება რეგულარულად, საზოგადოების ინფორმირების მიზნით.

4	ბიბლიოთეკის ფონდის განახლება	ბიბლიოთეკარი, დირექტორი	2016 - 2022	საგანმანათლებლო პროგრების სრულფასოვანი განხორციელება, მოსწავლეებისა და პროფესიული განათლების სტუდენტებისათვის განახლებული ლიტერატურის შეთავაზება ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებებს.
5	ზოგადი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ხელოვნების მიმართულებით შესაბამისი სასწავლო მასალის სრულყოფა	დირექტორი, ზოგადი და პროფესიული განათლების მენეჯერები	2014 - 2020	მოსწავლე და სტუდენტი შეძლებს დროის ეფექტურად გამოყენებას, მათ ექნებათ ყველა საჭირო მასალის დროის მცირე მონაკვეთში სასწავლო რესურსების მიღების შესაძლებლობა რომელიც თავისი შინაარსით შესაბამისობაში იქნება საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან. მრავალფეროვანი მუსიკალური ინსტრუმენტი მოზარდს ფართო არჩევანის შესაძლებლობას მისცემს.

ადამიანური რესურსი

6	სკოლა-პანსიონში დასაქმებული ადამიანური რესურსების პროფესიული ვალიფიკაციის ამაღლებაში ხელშეწყობა	დირექტორი, ზოგადი და პროფესიული განათლების მენეჯერები	2014-2020	ადამიანური რესურსების პროფესიული ვალიფიკაციის ამაღლებაში ხელშეწყობის მიზნით სკოლა-პანსიონი პერსონალს დაუფინანსებს შესაბამის ტრენინგ-მოდულების კურსებს. შედეგად სკოლა-პანსიონი უზრუნველყოფს სწავლების არსებული ხარისხის შენარჩუნებას და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის მაღალი ხარისხის განათლების მიცემის უზრუნველყოფას.
7	კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოტივაციის გაზრდისათვის აუცილებელი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა	დირექტორი, ზოგადი და პროფესიული განათლების მენეჯერები	2016 -2022	არსებული ხარისხის მართვის სამსახურის გაძლიერება, მიმართულებების მიხედვით კოორდინატორების სამსახურის გაძლიერება, რომელს ხელს შეუწყობს სკოლა-პანსიონში საქმიანობის წარმართვის ხარისხობრივი მაჩვენებლის გაზრდას და სრულყოფას.
8	ტრენინგებში, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა	დირექტორი, ხარისხის მართვისა და საქმისწარმოების სამსახური	2016-2022	სკოლა-პანსიონში დასაქმებული პერსონალს გამოუმუშავდება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ეფექტური მართვისა და მომსახურების უნარები, ხოლო პედაგოგიური პერსონალი პრაქტიკული მიმართულებით გადამზადდება.

9	სკოლა-პანსიონში დასაქმებული ადამიანური რესურსების საქმისწარმოებისწესისა უფლება-მოვალეობების სრულყოფა	დირექტორი ზოგადი და პროფესიული განათლების მენეჯერები	2016-2022	სამუშაო აღწერილობის დახვეწით პერსონალმა სრულყოფილად უნდა იცოდეს თავისი უფლება - მოვალეობა.
საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფა				
10	არსებული პროგრამების მუდმივი განახლება და სრულყოფა, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეებისათვის მუსიკალურ განათლებაში ხელშეწყობა	დირექტორი, ადმინისტრაცია, ხარისხის მართვისა და საქმისწარმოების სამსახური	2016-2022	არსებულ პროგრამებში ახალი ხედვები ხელს შეუწყობს ხარისხის განვითარებას, მოსწავლეებსა და სტუდენტებს დაეხმარება აღიზარდონ კულტურულ-მემკვიდრეობითი, ტრადიციული ღირებულებების შესაბამისად; მოსწავლეებში მუსიკალური, ხალხური რეწვის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სპეციალობებისათვის აუცილებელი საგანმანათლებლო უნარ-ჩვევების მიცემას; სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხელშემწყობი ფაქტორი იქნება ქვეყნის ინტერესების დამცველი მოქალაქის აღზრდის საქმეში. ხოლო ბაზრის კვლევის შედეგების ასახვა დაეხმარება მათ დასაქმებაში.

11	საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმის დახვეწა	დირექტორი ზოგადი და პროფესიული განათლების მენეჯერები ხარისხის მართვის სამსახური	2016-2022	სასკოლო სასწავლო გეგმისა და პროგრამების შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ხდება მოსწავლეთა, მშობელთა, სტუდენტთა და სავარაუდო დამსაქმებელთა გამოკითხვის საფუძველზე.
12	მოსწავლეთა და პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასების სისტემის დახვეწა	დირექტორი ზოგადი და პროფესიული განათლების მენეჯერები ხარისხის მართვის სამსახური	2016-2022	სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა და პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები, ქცევა) შეფასება იყოს გამჭვირვალე. შეფასების სისტემის დახვეწა ხელს შეუწყობს შეფასების ისეთი ინტრუმენტებისა და კრიტერიუმების დანერგვას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა და პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარება და მისი მოტივაციის ზრდა.

13	შეფასების კომპონენტების დახვეწა და შეფასების კრიტერიუმების ფორმულირება	დირექტორი ზოგადი და პროფესიული განათლების მენეჯერები ხარისხის მართვის სამსახური	2016-2022	მოსწავლის შეფასება მნიშვნელოვანია სწავლაში მისი მოტივაციის ამაღლებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მას ეროვნულ გამოცდებზე წარმატების მიღწევაში, ხოლო სტუდენტისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაციის დადგენაში, მისი მზაობის განსასაზღვრაში, რამდენად არის შრომის ბაზარზე გასასვლელად მზად. სწორედ ამიტომ იძენს შეფასების მექანიზმების, ინსტრუმენტებისა და კრიტერიუმების სწორი ფორმულირება განსაკუთრებულ დატვირთვას.
14	პოტენციურ დამსაქმებლებთან ახალი ურთიერთობების დამყარება და არსებულის შენარჩუნება	პროფესიული განათლების მენეჯერები ხარისხის მართვის სამსახური	2016-2022	ინფორმაციის მოძიება შრომის ბაზრის შესახებ და სტუდენტთა ინფორმირება, სტუდენტების საწარმოო პრაქტიკისა და დასაქმებისათვის პარტნიორის მოძიება. სტუდენტებისათვის ადეკვატური კონსულტაციების გაწევა.

15	კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის მუდმივი განახლება	დირექტორი, ზოგადი და პროფესიული განათლების მენეჯერი, ხარისხის მართვის სამსახური	2016-2022	<p>სკოლა-პანსიონისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმის ცდონა, რომ მისი კურსდამთავრებული დასაქმდა, არამედ მუდმივი, გრძელვადიანი კონტაქტი იქონიოს მათთან და მოხდინოს მათი შრომით ბაზარზე მოძრაობის დინამიკის აღწერა, შეფასება, ანალიზი. სკოლა-პანსიონი დაინტერესებულია ჰქონდეს პასუხები ისეთ კითხვებზე, როგორიცაა: მისი კურსდამთავრებული დასაქმდა თუ არა მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად? რამდენ ხანს იმუშავა? რა იყო წამოსვლის მიზეზი? როგორ დასაქმდა ახალ და შემდეგ პოზიციებზე? სკოლა-პანსიონი, კითხვებზე სისტემატური პასუხების გაცემით, შეძლებს არსებული ვითარების შედარებას და სამერმისოდ ალტერნატიული გეგმების დასახვას.</p>
----	--	---	-----------	---

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონი

16	სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა	დირექტორი, ადმინისტრაცია	2016-2022	სკოლა-პანსიონისთვის პრიორიტეტულია მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვა, მენეჯმენტის გაუმჯობესება და ერთიანი ორგანიზაციული კულტურის შემუშავება. დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი ინტელექტუალური გარემოს შექმნას, ეფექტური მომსახურების გაწევას, სწავლება-სწავლის მაღალი ხარისხის მიღწევას, რომლის პროცედურებიც დაფუძნებული იქნება გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ერთიან პრინციპზე.
17	სადღელამისო პანსიონური რეჟიმით მომსახურების დახვეწა/გაუმჯობესება	დირექტორი, ზოგადი და პროფესიული განათლების მენეჯერები, პანსიონის კოორდინატორი	2016-2022	სკოლა-პანსიონის კამპუსის გამართული მუშაობა, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა მაღალმთიანი რეგიონებიდან შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების ჩამოყვანას გახდის შესაძლებელს, მიუხედავად მათი რელიგიური კუთვნილებისა, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა აღმსარებლობის ქართველ და ქრისტიან მოსწავლეთა თანაცხოვრებას, მათ ინტეგრირებას ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში. აღნიშნული მათ დაეხმარება იყონ ტოლერანტები, საკუთარი და სხვისი ინტერესების დამცველი საქართველოს მოქალაქეები.